

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ წარსადგენი ანგარიშის მიმართ მოთხოვნები

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

პროგრამა - სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი;

აუდიტორული (აუდიტური) ფირმა - „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრული **სავალდებულო აუდიტორული ფირმა**, რომელმაც ამავე ბრძანების შესაბამისად გაიარა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი;

აუდიტორი - „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრული **სავალდებულო აუდიტორი**;

ექსპერტიზის ბიურო - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

ამ დოკუმენტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილით (შემდგომში - სახელმწიფო პროგრამა) განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. დოკუმენტის მიზანი და აღწერა

1. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ სააგენტოში წარსადგენი ანგარიშ(ებ)ის მიმართ მოთხოვნები, ანგარიშში სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაცია და მოსალოდნელი შედეგები.

2. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მზადდება აუდიტორის ან/და აუდიტორული ფირმის ან/და ექსპერტიზის ბიუროს მიერ.

3. სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარის მიერ წარსადგენ შემდეგი სახის ანგარიშებს:

- ა) სესხის/სალიზინგო პროექტის მიზნობრივი გამოყენების/ხარჯვის დამადასტურებელი ანგარიში;
- ბ) ექსპორტზე გასატანი პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული ხარჯის დამადასტურებელი ანგარიში;
- გ) კვლევა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯის დამადასტურებელი ანგარიში;
- დ) მწვანე კომპონენტის პირობებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ანგარიში;
- ე) გაციფრულების კომპონენტის პირობებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ანგარიში;
- ვ) მაღალმთიანი რეგიონის კომპონენტის პირობებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ანგარიში;
- ზ) აგროტურისტული კომპონენტის პირობებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ანგარიში.

4. ბენეფიციარი, პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის/სალიზინგო პროექტის მიზნობრივი ათვისების/ხარჯვის დადასტურების მიზნით, ვალდებულია სააგენტოში წარადგინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიში (სავალდებულო ანგარიში). აღნიშნული ანგარიშის წარდგენამდე სააგენტო, სესხის/სალიზინგო პროექტის ფარგლებში არ განიხილავს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ანგარიშ(ებ)ს.

5. ბენეფიციარი უფლებამოსილია, ერთი სესხის/სალიზინგო პროექტის ფარგლებში, სავალდებულო ანგარიშთან ერთად, გაითვალისწინოს სხვა ანგარიშ(ებ)ის მიმართ მოთხოვნები და წარმოადგინოს ერთ საერთო ანგარიშში.

მუხლი 3. აუდიტორის/აუდიტორული ფორმის/ექსპერტიზის ბიუროს ვალდებულებები:

1. დაიცვას სახელმწიფო პროგრამის და სააგენტოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნები;
2. შეამოწმოს სესხით/სალიზინგო პროექტით გაწეული ხარჯების მიზნობრიობა, ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE კოდის) და თანხების მითითებით;
3. შეისწავლოს თითოეული ხარჯი შესაბამისი ტრანზაქციის თანმდევი დოკუმენტების შემოწმებით;
4. მიუთითოს გამოყენებული აუდიტორული სტანდარტები.

მუხლი 4. აუდიტორის/აუდიტორული ფორმის/ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული ანგარიშის მიმართ მოთხოვნები

ა) ანგარიშის მიმართ განსაზღვრული ზოგადი მოთხოვნები

1. პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისთვის გაწეული ხარჯების დაანგარიშება ხდება საკასო მეთოდით.

2. აუდიტის მიერ დადასტურებას ექვემდებარება მეწარმე სუბიექტის მიერ გაწეული ხარჯი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს:

ა) ხარჯი გაწეულია სესხის/სალიზინგო პროექტის პროგრამის ფარგლებში გაცემის მომენტიდან სააგენტოში ბენეფიციარის მიერ ანგარიშის წარმოდგენამდე;

ბ) არსებობს გაწეული ხარჯის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც უტყუარად დასტურდება პროგრამის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების ან/და საქონლის შესყიდვის განხორციელება (შემდგომში ოპერაცია);

3. ანგარიშით მოწმდება, პროგრამის ფარგლებში რომელი ეკონომიკური საქმიანობისთვის იქნა გაწეული ხარჯი, და შეესაბამება თუ არა აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობა სააგენტოს მიერ დადასტურებულ სესხის/სალიზინგო პროექტის განაცხადში მითითებულ ეკონომიკურ საქმიანობას.

4. პროგრამის ფარგლებში მიზნობრივ ხარჯად მიიჩნევა განხორციელებული ოპერაციასთან დაკავშირებული გადახდილი გადასახადები/მოსაკრებლები (რომელიც წარმოიშვება ოპერაციის განხორციელების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორიცაა: დღგ (მათ შორის, უკუდაბეგვრის დღგ), აქციზი, იმპორტის/ექსპორტის და საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალზე გადახდილი გადასახადები).

ბ) სესხის/სალიზინგო პროექტის მიზნობრივად გამოყენების დამადასტურებელი სავალდებულო ანგარიშის მიმართ მოთხოვნები

1. სავალდებულო ანგარიშის მიზანია დადგინდეს, განხორციელდა თუ არა პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის/სალიზინგო პროექტი მიზნობრივი ათვისება/ხარჯვა.

2. სავალდებულო ანგარიშის საშუალებით მოწმდება:

ა) სესხის/სალიზინგო პროექტის შესაბამისობა სახელმწიფო პროგრამის 12³⁰ მუხლის მე-6 პუნქტთან;

ბ) სესხის მიმართ მოთხოვნების (პროპორციის) დაცვით ხარჯვა, სახელმწიფო პროგრამის 12³⁰ მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი შესაბამისად.

3. სავალდებულო ანგარიში უნდა იქნას წარმოდგენილი სააგენტოში:

- ა) პროგრამის ფარგლებში სესხის სრულად ათვისებიდან (გახარჯვიდან) არაუგვიანეს 6 თვისა, მაგრამ არაუმეტეს სესხის/სესხის პირველი ტრანშის პროგრამის ფარგლებში გაცემიდან 36 თვეში;
- ბ) პროგრამის ფარგლებში სალიზინგო პროექტის გაცემიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.

გ) ექსპორტზე გასატანი პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული ხარჯის დამადასტურებელი ანგარიშის მიმართ მოთხოვნები

1. ანგარიშის მიზანია დადგინდეს, შეესაბამება თუ არა პროგრამის ფარგლებში ათვისებული სესხი პროგრამით განსაზღვრულ ექსპორტზე გასატანი პროდუქციის წარმოებისათვის გასაწევი ხარჯის მოთხოვნებს.

2. ანგარიშის საშუალებით მოწმდება:

- ა) სესხით გაწეული ხარჯი შესაბამისობა სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს Nს-115 ბრძანებასთან;
- ბ) ექსპორტის პროცედურის შესრულების/დასრულების დამადასტურებელი ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტაციის არსებობა:

- ნასყიდობის საექსპორტო ხელშეკრულება და მის ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;
- სატრანსპორტო დოკუმენტი (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ტრანსპორტირება/მიწოდება ხდება სხვა ალტერნატიული საშუალებებით);
- საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული ექსპორტის საბაჟო დეკლარაცია და შესაბამისი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დამადასტურებელი დოკუმენტი (საბაჟო ორგანოს ცნობა).

3. ანგარიში უნდა იქნას წარმოდგენილი სააგენტოში პროგრამის ფარგლებში სესხის სრულად ათვისებიდან (გახარჯვიდან) არაუგვიანეს 6 თვისა, მაგრამ არაუმეტეს სესხის/სესხის პირველი ტრანშის პროგრამის ფარგლებში გაცემიდან 36 თვეში.

დ) კვლევა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯის დამადასტურებელი ანგარიშის მიმართ მოთხოვნები

1. აღნიშნული ანგარიშის მიზანია დადგინდეს, შეესაბამება თუ არა პროგრამის ფარგლებში ათვისებული სესხი (სრულად ან ნაწილობრივ) პროგრამით განსაზღვრულ კვლევისა და განვითარების ხარჯ(ებ)ის მიმართ მოთხოვნებს.

2. ანგარიშის საშუალებით მოწმდება ბენეფიციარის მიერ, სესხით კვლევა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯის შესაბამისობა სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს Nს-117 ბრძანებასთან.

3. ანგარიში უნდა იქნას წარმოდგენილი სააგენტოში პროგრამის ფარგლებში სესხის/სესხის პირველი ტრანშის გაცემიდან 3 წლის ვადაში.

ე) სახელმწიფო პროგრამის მწვანე კომპონენტის ფარგლებში წარმოსადგენი ანგარიშის მიმართ მოთხოვნები:

1. აღნიშნული ანგარიშის მიზანია დადგინდეს, შეესაბამება თუ არა პროგრამის ფარგლებში ათვისებული სესხი (სრულად ან ნაწილობრივ) მწვანე ტაქსონომიის მოთხოვნებს.

2. ანგარიშის საშუალებით მოწმდება:

ა) მეწარმე სუბიექტის მიერ სესხით/სალიზინგო პროექტით გაწეული ხარჯის შესაბამისობა მწვანე ტაქსონომიის მოთხოვნებთან;

ბ) სახელმწიფო პროგრამის 12³⁴ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობის შესაბამისობა როგორც მწვანე ტაქსონომიასთან, ასევე აუდიტის მიერ მომზადებულ ანგარიშთან.

3. ანგარიში უნდა იქნას წარმოდგენილი სააგენტოში პროგრამის ფარგლებში სესხის/სესხის პირველი ტრანშის გაცემიდან ან ლიზინგის საგნის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 3 წლის ვადაში.

ვ) სახელმწიფო პროგრამის გაციფრულების კომპონენტის ფარგლებში წარმოსადგენი ანგარიშის მიმართ მოთხოვნები:

1. აღნიშნული ანგარიშის მიზანია დადგინდეს, შეესაბამება თუ არა პროგრამის ფარგლებში ათვისებული სესხი (ნაწილობრივ) პროგრამით განსაზღვრულ გაციფრულების მოთხოვნებს.

2. აუდიტის საშუალებით მოწმდება მეწარმე სუბიექტის მიერ კომპონენტის ფარგლებში სესხით/სალიზინგო პროექტით გაწეული ხარჯის შესაბამისობა სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის N146 ბრძანების მოთხოვნებთან.

3. ანგარიში უნდა იქნას წარმოდგენილი სააგენტოში პროგრამის ფარგლებში სესხის/სესხის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 3 წლის ვადაში.

ზ) სახელმწიფო პროგრამის მაღალმთიანი რეგიონის კომპონენტის ფარგლებში წარმოსადგენი ანგარიშის მიმართ მოთხოვნები:

1. აღნიშნული ანგარიშის მიზანია დადგინდეს, შეესაბამება თუ არა პროგრამის ფარგლებში ათვისებული სესხი (სრულად ან ნაწილობრივ) მაღალმთიანი რეგიონის კომპონენტის მოთხოვნებს.

2. აუდიტის საშუალებით მოწმდება კომპონენტის ფარგლებში სესხით/სალიზინგო პროექტით გაწეული ხარჯი განხორციელდა თუ არა იმ ეკონომიკური საქმიანობისთვის, რომელიც ოპერირებს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულში.

3. ანგარიში უნდა იქნას წარმოდგენილი სააგენტოში პროგრამის ფარგლებში სესხის/სესხის პირველი ტრანშის გაცემიდან ან ლიზინგის საგნის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 3 წლის ვადაში.

თ) სახელმწიფო პროგრამის აგროტურისტული კომპონენტის ფარგლებში წარმოსადგენი ანგარიშის მიმართ მოთხოვნები:

1. აღნიშნული ანგარიშის მიზანია დადგინდეს, შეესაბამება თუ არა პროგრამის ფარგლებში ათვისებული სესხი (სრულად ან ნაწილობრივ) აგროტურისტული საქმიანობისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. აუდიტის საშუალებით მოწმდება მეწარმე სუბიექტის მიერ კომპონენტის ფარგლებში სესხით/სალიზინგო პროექტით გაწეული ხარჯის შესაბამისობა სახელმწიფო პროგრამის დანართი N4-ის მე-3 თავთან.

3. ანგარიში უნდა იქნას წარმოდგენილი სააგენტოში პროგრამის ფარგლებში სესხის/სესხის პირველი ტრანშის გაცემიდან ან ლიზინგის საგნის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 3 წლის ვადაში.

მუხლი 5. ანგარიშში მისათითებელი ინფორმაცია

1. მეწარმე სუბიექტის სახელწოდება;
2. მეწარმე სუბიექტის საიდენტიფიკაციო კოდი;
3. მეწარმე სუბიექტის სააგენტოს პროგრამულ უზრუნველყოფაში დადასტურებული სესხის/სალიზინგო პროექტის უნიკალური (ID) ნომერი;
4. სესხის/ლიზინგის ხელშეკრულებაში და სააგენტოს პროგრამული უზრუნველყოფაში დადასტურებული ეკონომიკური საქმიანობის NACE კოდ(ებ)ი;
5. გაცემული სესხის მოცულობა ან/და გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულება;
6. გაწეული ხარჯის მიმართება ეკონომიკური საქმიანობის NACE კოდ(ებ)თან ან/და მიღებული ლიზინგის საგნის მიმართება ეკონომიკური საქმიანობის NACE კოდ(ებ)თან¹;
7. დეტალურ ინფორმაციას ოპერაციის შესახებ, კერძოდ, ოპერაციის განხორციელების თარიღი, ადგილი, ოპერაციის მხარეები და მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ოპერაციის ღირებულება, რაოდენობა, სხვა არსებითი პირობები და ინფორმაცია;
8. სესხის/სალიზინგო პროექტის ათვისების მოკლე ფინანსური შეჯამება;
9. სესხის/ლიზინგის საგნის მიზნობრივი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაცია;
10. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროები;
11. სესხიდან გაწეული ხარჯი (ცალ-ცალკე);
12. სალიზინგო პროექტის შემთხვევაში მიღებული ლიზინგის საგნ(ებ)ის დასახელება/აღწერა.

მუხლი 6. ანგარიშის წარდგენის შედეგები:

1. სავალდებულო ანგარიშის წარმოდგენისას:

ა) თუ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ ანგარიშში მითითებული ხარჯები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს სესხის/სალიზინგო პროექტის ათვისება ჩაითვლება მიზნობრივად; ან

ბ) თუ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ ანგარიშში მითითებული ხარჯებში დაფიქსირდა არამიზნობრივი ხარჯი, სააგენტო, წყვეტს ბენეფიციარის მხარდაჭერას და ბენეფიციარი ვალდებულია, დააბრუნოს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში გადახდილი თანხები უკან.

¹ ანგარიშში უნდა მიეთითოს:

- სესხის შემთხვევაში: გახარჯული სესხის თანხით მოხდა მითითებული ეკონომიკური საქმიანობისთვის შესაბამისი ხარჯის გაწევა ან/და
- ლიზინგის შემთხვევაში: მიღებული ლიზინგის საგანი კავშირშია მითითებულ ეკონომიკური საქმიანობის კოდთან.

2. პროგრამის საგრანტო მიმართულებების ფარგლებშია, ამ დოკუმენტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენისას:

ა) თუ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ ანგარიშში მითითებული ხარჯები შეესაბამება საგრანტო მიმართულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტო მოახდენს გრანტის გაცემას პროგრამით დადგენილი წესითა და ვადაში.

ბ) თუ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ ანგარიშში მითითებული ხარჯიდან მხოლოდ ნაწილი შეესაბამება საგრანტო მიმართულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტო აანაზღაურებს მხოლოდ მიზნობრივად გაზარჯულ თანხაზე განკუთვნილი გრანტის ოდენობას.

გ) თუ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ანგარიშში მითითებული ხარჯები სრულად არ შეესაბამება საგრანტო მიმართულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტო არ განახორციელებს მოთხოვნილი გრანტის ანაზღაურებას.

3. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარის მიერ წარდგენილი ანგარიში არ აკმაყოფილებს ამ დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ბენეფიციარს ეძლევა გონივრული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, მაგრამ არაუგვიანეს პროგრამით განსაზღვრული ვადისა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ ანგარიშს სააგენტო განიხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებში.